

დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის
2020 წლის 3 აგვისტოს N 02-01-182 ბრძანებით

სსიპ კოლეჯის „აისი“ პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, კურსდამთავრებულების, თანაშრომელთა, პროფესიულ მასწავლებელთა და დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია

შესავალი

1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ კოლეჯში „აისი“ პროცესების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და კმაყოფილების კვლევების განხორციელების მეთოდოლოგიას.
2. იმისათვის, რომ კოლეჯმა მუდმივად იზრუნოს სწავლების და კოლეჯის სერვისების ხარისხის გამჯობესებაზე, უპასუხოს მისი ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს, აუცილებელია სხვადასხვა ტიპის კვლევების ჩატარება.
3. კვლევების მიზანია ხელი შეუწყოს როგორც კოლეჯის შიდა გარემოს გამოწვევების იდენტიფიცირებას, ისე გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დადგენას.
4. კვლევის შედეგების და შეფასების გაანალიზება დაეხმარება კოლეჯს განახორციელოს მისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები ხარისხის გამჯობესების კუთხით. რეგულარული კვლევების განხორციელება არის სასწავლო პროცესებზე დაკვირვების, მონიტორინგის, პრობლემების იდენტიფიცირების და მყისიერი რეაგირების ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროების და კმაყოფილების კვლევა

1. სტუდენტის/მსმენელის კვლევაში მონაწილეობის უფლება აქვს სსიპ კოლეჯის „აისი“ სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზაში;
2. სტუდენტის/მსმენელის საჭიროების და კმაყოფილების კვლევა არის რეგულარული კვლევა, რომლის მიზანია სტუდენტებისაგან უკუკავშირის მიღება მათ პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: სასწავლო პროცესი, კოლეჯის ინფრასტრუქტურა, პროცედურები, სტუდენტური სერვისები, სტუდენტთა უნარების იდენტიფიცირება და სხვა. თითოეული ასპექტით სტუდენტების/მსმენელების საჭიროების და კმაყოფილების შეფასება დაეხმარება კოლეჯს გააუმჯობესოს სერვისების ხარისხი.
3. სტუდენტების/მსმენელის გამოკითხვა არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად იქნა მიღწეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანები, კვლევის ფარგლებში სტუდენტები/მსმენელები აფასებენ კურსის მოცულობას, შეფასების ფორმებს და მეთოდებს, მოსალოდნელი სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობებს, სტუდენტის/მსმენელის შეფასება ეხმარება კოლეჯს სისტემატურად მოახდინოს სისუსტეების იდენტიფიცირება და გამჯობესოს სწავლა- სწავლების ხარისხი.
4. სტუდენტების/მსმენელის კვლევას ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების პერიოდში, წილიწადში ორჯერ.
5. კვლევის ჩასატარებლად გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, (საჭიროების შემთხვევაში თვისობრივი კვლევის მეთოდი)
6. კვლევა ტარდება, როგორც ელექტრონულად, კითხვარების საშუალებით, ასევე მატერიალური სახით.
7. კითხვარების შეთანხმება ხდება კოლეჯის დირექტორთან და საჭიროებების გაანალიზების საფუძველზე ხდება მისი განახლება
8. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს კოლეჯის თითოეული პროგრამის სტუდენტთა მინიმუმ 80%;
9. გამოკითხვა ტარდება წინამდებარე მეთოდოლოგიის დანართი №1 და დანართი №2 სახით წარმოდგენილი კითხვარების საშუალებით;
10. კვლევაში მონაწილეობის შეთავაზებას ღებულობს კოლეჯის თითოეული პროგრამის ყველა სტუდენტი/მსმენელი. სტუდენტები/მსმენელები ინფორმირდებიან კვლევის მიზანზე, ამოცანებსა და კვლევისათვის საჭირო დროზე;

- 11.სავალდებულოა სტუდენტები/მსმენელები ინფორმირდეს კვლევის ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით, რომ დაცული იქნება რესპონდენტის ანონიმურობა და მოპოვებული მასალები განზოგადებული სახით იქნება გაანალიზებული;
- 12.სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს კვლევაში მონაწილეობაზე, რაც რაოდენობრივად უნდა აისახოს ანალიზში;
- 13.კითხვარები მუშავდება სტატისტიკურად. კითხვარების დამუშავების შემდეგ მზადდება დასკვნა.

კურსდამთავრებულების კვლევა

1. კურსდამთავრებულთა კვლევაში მონაწილეობის უფლება აქვს სსიპ კოლეჯის „აისი“ კურსდამთავრებულებს.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევას გააჩნია ორი მთავარი მიზანი:
 - შესწავლილი იქნას როგორ აფასებენ კურსდამთავრებულები კოლეჯის მიერ მათთვის გაწეულ მომსახურებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში;
 - შესწავლილი იქნას სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობა;
3. კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანებს წარმოადგენს: ისეთი საკითხების შესწავლა, როგორცაა:
 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
 - პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შეფასება;
 - კოლეჯის ადამიანური რესურსის შეფასება;
 - კოლეჯის მატერიალური რესურსების შეფასება;
 - კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობა) დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება;
 - დაუსაქმებლობის შემთხვევაში, უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება;
 - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირი;
 - იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც დაეხმარა ან რომლებმაც შეუშალა ხელი ცვლილებების (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება და სწავლის გაგრძელება) განხორციელებას;
 - კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება.
 - პროფორიენტაციის შედეგი კურსდამთავრებულის მომავალი საქმიანობის განსაზღვრაში;
4. კურსდამთავრებულთა კვლევას ახორციელებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი კალენდარული წლის ბოლოს, დეკემბერში.
5. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს კოლეჯის თითოეული პროგრამის კურსდამთავრებულთა მინიმუმ 80%;
6. კვლევის ჩასატარებლად გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი (საჭიროების შემთხვევაში თვისობრივი კვლევის მეთოდი)
7. კვლევა ტარდება წინამდებარე მეთოდოლოგიის დანართის №3 სახით წარმოდგენილი კითხვარის საშუალებით.
8. კვლევა ხორციელდება ელექტრონული კითხვარის საშუალებით. როცა ეს შეუძლებელია - სატელეფონო ინტერვიუს საშუალებით;
9. შემუშავებული კითხვარი კურსდამთავრებულს ეგზავნება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და მიეცემა 3 დღე მის შესავსებად, რის შესახებაც ისინი ინფორმირებულები არიან როგორც ელექტრონულად, ასევე სატელეფონო საუბრის მეშვეობით;
10. კითხვარები თახმდება კოლეჯის დირექტორთან საჭიროებების გაანალიზების საფუძველზე ხდება მისი განახლება;
11. კვლევაში მონაწილეობის შეთავაზებას ღებულობს კოლეჯის თითოეული პროგრამის ყველა კურსდამთავრებული. კურსდამთავრებულები ინფორმირდებიან კვლევის მიზანზე, ამოცანებსა და

კვლევისათვის საჭირო დროზე;

12. სავალდებულოა კურსდამთავრებული ინფორმირდეს კვლევის ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით, რომ დაცული იქნება რესპონდენტის ანონიმურობა და მოპოვებული მასალები განზოგადებული სახით იქნება გაანალიზებული;

13. კურსდამთავრებული უფლებამოსილია უარი განაცხადოს კვლევაში მონაწილეობაზე, რაც რაოდენობრივად უნდა აისახოს ანალიზში;

14. კითხვარები მუშავდება სტატისტიკურად. კითხვარების დამუშავების შემდეგ მზადდება დასკვნა;

15. პროგრამების მიხედვით კურსდამთავრებულთა კვლევის მასალების ანალიზი წარმოდგენილი უნდა იქნას კვლევის ჩატარებიდან მაქსიმუმ ორი კვირის ვადაში.

თანამშრომელთა კვლევა

1. თანამშრომელთა კვლევაში მონაწილეობის უფლება აქვს სსიპ კოლეჯის „აისი“ ყველა თანამშრომელს.
2. თანამშრომელთა კვლევის მიზანია: კოლეჯის თანამშრომელთა სამუშაოთი კმაყოფილების შესწავლა, კოლეჯის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.
3. თანამშრომელთა კვლევის ამოცანაა :
 - პროფესიული განათლების სფეროსადმი არსებული დამოკიდებულებების გამოვლენა;
 - კოლეჯში არსებული სამუშაო გარემოსა და მიმდინარე პროცესების შეფასება
 - კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, მისი კონკრეტული უპირატესობების ანალიზი.
 - ადმინისტრირებისა და მოტივაციის ანალიზი
 - ორგანიზაციული კულტურისა და კომუნიკაციის ანალიზი.
 - სამუშაო აღწერილობებისა და სტრუქტურის შეფასება.
 - გაუმჯობესების შესაძლებლობების შეფასება
4. თანამშრომელთა კვლევას ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი კალენდარული წლის ბოლოს, დეკემბერში.
5. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს თანამშრომელთა 90%.
6. კვლევის ჩასატარებლად გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი (საჭიროების შემთხვევაში თვისობრივი კვლევის მეთოდი)
7. გამოკითხვა ტარდება წინამდებარე მეთოდოლოგიის დანართის №4 სახით წარმოდგენილი კითხვარის საშუალებით.
8. თანამშრომელთა კვლევა ტარდება, როგორც ელექტრონულად, კითხვარების საშუალებით, ასევე მატერიალური სახით.
9. კითხვარები თახმდება კოლეჯის დირექტორთან, საჭიროებების გაანალიზების საფუძველზე ხდება მისი განახლება;
10. კვლევაში მონაწილეობის შეთავაზებას ღებულობს კოლეჯის ყველა თანამშრომელი. თანამშრომლები ინფორმირდებიან კვლევის მიზანზე, ამოცანებსა და კვლევისათვის საჭირო დროზე;
11. სავალდებულოა თანამშრომლები ინფორმირდეს კვლევის ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით, რომ დაცული იქნება რესპონდენტის ანონიმურობა და მოპოვებული მასალები განზოგადებული სახით იქნება გაანალიზებული;
12. თანამშრომელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს კვლევაში მონაწილეობაზე, რაც რაოდენობრივად უნდა აისახოს ანალიზში;
13. კითხვარები მუშავდება სტატისტიკურად. კითხვარების დამუშავების შემდეგ მზადდება დასკვნა.

პროფესიული მასწავლებლის კვლევა

1. კვლევაში მონაწილეობის უფლება აქვს სსიპ კოლეჯის „აისი“ ყველა მასწავლებელს.
2. პროფესიულ მასწავლებელთა კვლევის მიზანია : მოდულური სწავლების დანერგვის პროცესის მონიტორინგის და მხარდაჭერის ფარგლებში პრობლემების იდენტიფიცირება სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.
3. მასწავლებელთა კვლევის ამოცანას წარმოადგენს შემდეგი საკითხები:
 - პრობლემების იდენტიფიცირება სწავლის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

- მოდულური პროგრამების დახვეწის მიზნით, მასწავლებელთა სარეკომენდაციო წინანადების გაცნობა.
- მოდულში არსებული სისტემური პროლემების ანალიზი(ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 4. პროფესიულ მასწავლებელთა კვლევას ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი, კალენდარული წლის ბოლოს, დეკემბერში.
- 5. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს მასწავლებელთა 90%.
- 6. კვლევის ჩასატარებლად გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი (საჭიროების შემთხვევაში თვისობრივი კვლევის მეთოდი)
- 7. გამოკითხვა ტარდება წინამდებარე მეთოდოლოგიის დანართის №5 სახით წარმოდგენილი კითხვარის საშუალებით.
- 8. კვლევა ტარდება, როგორც ელექტრონულად, კითხვარების საშუალებით, ასევე მატერიალური სახით.
- 9. კითხვარების თახმდება კოლეჯის დირექტორთან და საჭიროებების გაანალიზების საფუძველზე ხდება მისი განახლება;
- 10. კვლევაში მონაწილეობის შეთავაზებას ღებულობს კოლეჯის ყველა პროფესიული მასწავლებელი. მასწავლებლები ინფორმირდებიან კვლევის მიზანზე, ამოცანებსა და კვლევისათვის საჭირო დროზე;
- 11. სავალდებულოა მასწავლებლები ინფორმირდეს კვლევის ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით, რომ დაცული იქნება რესპონდენტის ანონიმურობა და მოპოვებული მასალები განზოგადებული სახით იქნება გაანალიზებული;
- 12. მასწავლებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს კვლევაში მონაწილეობაზე, რაც რაოდენობრივად უნდა აისახოს ანალიზში;
- 13. კითხვარები მუშავდება სტატისტიკურად. კითხვარების დამუშავების შემდეგ მზადდება დასკვნა.

დამსაქმებელთა კვლევა

- 1. დამსაქმებელთა კვლევაში მონაწილეობას იღებს და სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს კოლეჯის პარტიორი კომპანიები.
- 2. კვლევის მიზანია სსიპ კოლეჯის „აისი“ პოზიციის/იმიჯის შესწავლა კონკტერულ სამიზნე ჯგუფში.
- 3. კვლევის ამოცანაა:
 - პროფესიული განათლების დონის შეფასება დამსაქმებლების მიერ.
 - დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი თანამშრომელთა შერჩევისას.
 - კოლეჯის „აისი“ და კურსდამთავრებულთა იმიჯი დამსაქმებლებში.
- 4. დამსაქმებელთა კვლევას ახორციელებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, კალენდარული წლის ბოლოს, დეკემბერში.
- 5. კვლევის ჩასატარებლად გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის მეთოდი (საჭიროების შემთხვევაში თვისობრივი კვლევის მეთოდი)
- 6. კვლევა ტარდება წინამდებარე მეთოდოლოგიის დანართის №6 სახით წარმოდგენილი კითხვარის საშუალებით.
- 7. კვლევა ტარდება, როგორც ელექტრონულად, კითხვარების საშუალებით, (ასევე ,შესაძლებელია მატერიალური სახით.)
- 8. კითხვარების თახმდება კოლეჯის დირექტორთან, საჭიროებების გაანალიზების საფუძველზე ხდება მისი განახლება;
- 9. კვლევაში მონაწილეობის შეთავაზებას ღებულობს კოლეჯის ყველა პარტნიორი ორგანიზაციები და ინფორმირდებიან კვლევის მიზანზე, ამოცანებსა და კვლევისათვის საჭირო დროზე;
- 10. სავალდებულოა დამსაქმებლები ინფორმირდეს კვლევის ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებით, რომ დაცული იქნება რესპონდენტის ანონიმურობა და მოპოვებული მასალები განზოგადებული სახით იქნება გაანალიზებული;
- 11. დამსაქმებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს კვლევაში მონაწილეობაზე, რაც რაოდენობრივად უნდა აისახოს ანალიზში;
- 12. კითხვარები მუშავდება სტატისტიკურად. კითხვარების დამუშავების შემდეგ მზადდება დასკვნა.

დასკვნითი დებულება

1. წინამდებარე მეთოდოლოგია მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით და მასში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ დირექტორის ბრძანებით.
2. კვლევის ანალიზი შემდგომი რეაგირებისათვის წარედგინება კოლეჯის დირექტორს.
3. ადმინისტრაციულ ერთეულებთან განხილვის შედეგად მიიღება კვლევის ანალიზის შემდგომი რეაგირების გადაწყვეტილება.

დანართი №1

პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კმაყოფილების კითხვარი

გთხოვთ შეავსოთ მოცემული კითხვარი.

27.სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია (იატაკი დერეფნებში და აუდიტორიებში სუფთაა, ქალაქი და სხვა დაყრილი ნაგავი მალე ლაგდება, აუდიტორიები და სხვა სამუშაო ოთახები ყოველთვის სუფთაა და სხვ.)																					
28.სასწავლო დაწესებულებაში ფუნქციონირებს თუ არა ბუფეტი																					

29. სასწავლო მასალა რა სახით მოგეწოდებათ?

- ელექტრონულად
- ბიბლიოთეკიდან წიგნის სახით
- ქსეროქსი
- იწერთ გაკვეთილზე
- სხვა(მიუთითეთ)-----

30. გაკმაყოფილებთ თუ არა სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული მდგომარეობა?

- ყველა სახელმძღვანელო შეიძლება იყიდოს
- ზოგი სახელმძღვანელო იყიდება, ზოგიც ბიბლიოთეკაშია
- ზოგი სახელმძღვანელო საერთოდ არ იშოვება და გვიწევს მათი გადაქსეროქსება
- სახელმძღვანელოები ქართულად არ არის, ხოლო სხვა ენებზე კითხვა გვიჭირს
- პროფესიული მასწავლებლები ძალიან ბევრ სახელმძღვანელოს გვთხოვენ ერთი კურსის ფარგლებში
- სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში არ არის
- სახელმძღვანელო არ არის გვიწევს მასალის ჩაწერა
- სხვა:-----

II სტუდენტის/მსმენელის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების და პედაგოგიური რესურსის შეფასების კითხვარი

#	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა	6 ქულა	7 ქულა	8 ქულა	9 ქულა	10 ქულა
---	--------	--------	--------	--------	--------	--------	--------	--------	--------	---------

კომენტარები:

შეცდომის თარიღი:

გმადლობთ თანამშრომლობისათვის, თქვენი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია

დანართი №2

სსიპ კოლეჯი „აისი“

სპეციალობა: -----

სტუდენტთა/მსმენელთა საჭიროების კითხვარი

ამ კითხვარის საფუძველზე გვსურს, გავაანალიზოთ თქვენს მიერ დანახული პროფესიული განათლების დაწესებულების მუშაობა და პერსპექტივები, რათა ერთად დავგეგმოთ და განვახორციელოთ თქვენთვის მისაღები და საინტერესო პროექტები. თქვენს მიერ გამოთქმული ყველა მოსაზრება უაღრესად ფასეულია. მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისთვის.

1. გამართლდათუ არა თქვენი მოლოდინი არჩეულ პროფესიასთან მიმართებაში?

1. დიახ, სრულიად გამართლდა
2. მოლოდინს გადააჭარბა
3. გაცილებით მეტს ველოდი
4. მიჭირს პასუხის გაცემა

2. როგორ შეაფასებდით კოლეჯის ფიზიკურ გარემოს/პირობებს? მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა თუ არა საუკეთესო განათლების მიღების საშუალებას?

1. კოლეჯში საუკეთესო მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა ხარისხიანი განათლების მისაღებად
2. ჩემი პროფესიისთვის საჭირო მატერიალური რესურსი არ არის საკმარისი
3. ვისურვებდი პრაქტიკული მეცადინეობისთვის უფრო მეტი საშუალებების არსებობას
4. სხვა -----

3. პროფესიის დაუფლების პარალელურად რომელი უნარების გაუმჯობესებას ისურვებდით? გთხოვთ შემოხაზოთ თქვენთვის სასურველი უნარები.

1. კომუნიკაციის უნარი
2. გუნდური მუშაობის უნარი
3. მოლაპარაკებისა და კონფლიქტის მართვის უნარი
4. სამუშაოს ძიების უნარი
5. კარიერული მართვის უნარი
6. ორგანიზებულობა - საქმის დათქმულ ვადებში გაკეთება, შეხვედრებზე დროულად და მოწესრიგებულად მისვლა და სხვა
7. პრობლემურ სიტუაციაში სწორი მოქმედების უნარი
8. კომპიუტერთა და სენსორული დაფით სარგებლობის უნარი
9. წარმატების მიღწევის ტექნოლოგია
10. სხვა -----

4. ვისთან ისურვებდით შეხვედრასა და გამოცდილების გაზიარებას?

1. კოლეჯის წარმატებულ სტუდენტებთან/მსმენელებთან
2. კოლეჯის წარმატებულად დასაქმებულ კურსდამთავრებულებთან
3. ჩემი დარგის სპეციალისტებთან და პროფესიონალებთან
4. დამსაქმებლებთან შეხვედრა და სამუშაო პირობებზე საუბარი
5. ცნობილ მწერლებთან, პოეტებთან, მხატვრებთან, მსახიობებთან (შეგიძლიათ დაასახელოთ კონკრეტულადვისთან) -----
6. სხვა -----

5. რომელაქტივობებში მიიღებდით მონაწილეობას?

1. სპორტულღონისძიებებში
2. მხატვრულღონისძიებებში
3. პოეზიის საღამოებში
4. ფილმების ჩვენებაში
5. სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვაში
6. კოლეჯის ეზოს გამწვანებაში
7. სხვა -----

6. რომელ მნიშვნელოვან უნარებს ფლობთ? გთხოვთ შემოხაზოთ.

1. ვწერ ლექსებს და ჩანახატებს
2. შემიძლია ცეკვა, სიმღერა
3. შემიძლია ხატვა, ძერწვა, ქსოვა, ქარგვა, კერვა, ბისერებით სამკაულების კეთება
4. შემიძლია ფოტოების გადაღება
5. შემიძლია ინტერვიუების წარმართვა
6. შემიძლია სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა (ფოტოშოპი, ფოტომონტაჟი, ვიდეომონტაჟი)
7. სხვა -----

7. ისურვებდით თუ არა ამ უნარებით წარმოაჩინოთ საკუთარი თავი და მიიღებთ თუ არა მონაწილეობას კოლეჯის ღონისძიებებში, რათა გაგიცნოთ საზოგადოებამ?

1. დიახ
2. არა

8. თქვენი აზრით, რა შეიძლება გაკეთდეს ახალგაზრდებში პროფესიული განათლების პოპულარიზაციისთვის?

1. თუ დამსაქმებელი უპირატესობას მიანიჭებს პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულებს შესაბამის ვაკანსიებზე
2. თუ მოეწყო პროფესიული განათლების სტუდენტების/მსმენელების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა
3. თუ დასაქმებულ კურსდამთავრებულებთან მოეწყო შეხვედრები და მათი გამოცდილების გაზიარება
4. თუ იარსებებს სატელევიზიო გადაცემები პროფესიული განათლების შესახებ
5. თუ პროფესიული განათლების სტუდენტები ჩაერთვებიან სტუდენტების გაცვლით პროგრამებში
6. თუ წარმატებული სტუდენტების მოტივაციის ამაღლებისთვის იარსებებს წახალისების რაიმე ფორმა
7. სხვა -----

9. გსმენიათ თუ არა კარიერის დაგეგმვის შესახებ?

1. კი
2. არა

10. გსურთ თუ არა, გაიაროთ კარიერის დაგეგმვის ტრენინგებისამუშაოს ძიების ტექნიკის, CV-ის და სამოტივაციო წერილის შედგენისა და დამსაქმებელთან გასაუბრების ტექნიკის შესახებ?

1. კი
2. არა

11. გაქვთ თუ არა კონკრეტული გეგმა იმის თაობაზე, თუ რას გააკეთებთ კოლეჯის დასრულების შემდეგ?

1. კი
2. არა

12. კოლეჯის დასრულების შემდეგ გაქვთ მოლოდინი რომ:

1. იშვით სამსახურს და დასაქმდებით თქვენი სპეციალობით
2. იქნებით თვითდასაქმებული და იმუშავებთ თქვენი პროფესიით
3. ვერ იშვით სამსახურს და დარჩებით უმუშევარი
4. ააწყობთ საკუთარ ბიზნესს და დაასაქმეთ სხვა ადამიანებსაც
5. განაგრძობთ სწავლას უმაღლეს სასწავლებელში
6. დაუბრუნდებით კოლეჯს ახალი პროფესიის მისაღებად
7. სხვა -----

თუ გაქვთ დამატებით იდეა, რომელიც პროფესიულ განათლებას გახდის კიდევ უფრო მიმზიდველს და სტუდენტური ცხოვრება გახდება კიდევ უფრო აქტიური, საქმიანი და საინტერესო, გთხოვთ გამოიყენოთ ქვემოთ მოცემული უჯრა.

დიდი მადლობა თანამშრომლობისთვის!

ჩვენ აუცილებლად გავითვალისწინებთ თქვენს იდეებს, რჩევებს და ინტერესებს!

ჩვენ ერთად შევძლებთ, უფრო საინტერესო გავხადოთ სტუდენტური ცხოვრება!

დანართი №3

კურსდამთავრებულთა კვლევა

1. რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულეთ?

.....

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რა გზებით მიიღეთ ინფორმაცია პროგრამის შესახებ?
(შესაძლებელია რამდენიმე პასუხის მონიშვნა)

- მშობლებისგან
- სკოლის წარმომადგენლებისაგან
- კოლეჯის თანამშრომლებისგან
- მეგობრების, თანატოლებისა და / ან თანაკლასელებისგან
- კოლეჯში ვიზიტისას
- კოლეჯის ვებ გვერდიდან
- კოლეჯის ფეისბუქის გვერდიდან
- ტელევიზიის საშუალებით
- სარეკლამო ბროშურების საშუალებით
- ინტერნეტის საშუალებით
- სხვა (მიუთითეთ

3. კოლეჯში ჩარიცხვისას გაგიჩიეს თუ არა საპროფორიენტაციო კონსულტაცია?

- დიახ, მივიღე სრულყოფილი კონსულტაცია
- კონსულტაციამ იგივე, მაგრამ არ მიმიღია სრულყოფილი ინფორმაცია
- არ მომიტხოვია კონსულტაცია
- გავლილი მქონდა ონლაინ რეგისტრაცია და არ მქონია ჩარიცხვამდე კომუნიკაცია კოლეჯთან
- სხვა (შეგიძლიათ ჩაწეროთ)

4. სასწავლო პროცესის დაწყებამდე, რა იყო თქვენი მოლოდინი პროგრამის შესახებ? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის არჩევა)

- მივიღებდი პროფესიულ ცოდნას
- მივიღებდი პრაქტიკულ სამუშაო გამოცდილებას
- გავიგებდი, სამომავლოდ სად შეიძლება ჩემი პროფესიით დავსაქმდე
- გავიცნობდი მომავალ კოლეგებს
- გავხდებოდი ჩემის საქმის პროფესიონალი
- მოდულური / სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება დამეხმარებოდა დასაქმებაში
- სხვა (მიუთითეთ

5. პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ გაამართლა თუ არა თქვენი მოლოდინი მის მიმართ?

- მთლიანად გაამართლა
- ნაწილობრივ გაამართლა
- არ გაამართლა (მიუთითეთ მიზეზი)

6. ახლა რომ ახარებდეთ, აირჩევდით თუ არა იგივე პროფესიას?

- დიახ
- არა

თუ N6 შეკითხვას უპასუხებთ „არა“ მიუთითეთ მიზეზი

7. ახლა რომ ახარებდეთ აირჩევდით თუ არა ისევე ამავე კოლეჯს?

- დიახ
- არა

თუ N7 უპასუხებთ „არა“ მიუთითეთ მიზეზი

8. როგორ შეაფასებდით პროგრამის ფარგლებში სწავლების ხარისხს, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან მიმართებაში?

- ძალიან კარგი
- კარგი
- დამაკმაყოფილებელი
- ცუდი

- ძალიან ცუდი
- არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

9. როგორ შეაფასებდით კოლეჯში არსებულ შეფასების სისტემას?

- ობიექტური/სამართლიანი
- არაობიექტური/არასამართლიანი
- არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

10. როგორ შეაფასებდით სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას (სასწავლო მასალები, სახელმძღვანელოები, ლაბორატორია და სხვ.)

- ძალიანკარგი
- კარგი
- დამაკმაყოფილებელი
- ცუდი
- ძალიანცუდი
- არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

11. დაცული იყო თუ არა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს უსაფრთხოების ნორმები?

- დაცულიყო
- არიყოდაცული
- თუ თქვენ უპასუხეთ „არ იყო დაცული“ გთხოვთ, დააკონკრეტოთ
.....

12. როგორ შეაფასებდით პროგრამის ფარგლებში სწავლების ხარისხს დუალური პროგრამის ფარგლებში პარტნიორ კომპანიაში? (თუ თქვენ არ ხართ დუალური პროგრამის კურსდამთავრებული გადადით №13 კითხვაზე)

- ძალიანკარგი
- კარგი
- დამაკმაყოფილებელი
- ცუდი
- ძალიანცუდი
- არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

13. როგორ შეაფასებდით პროგრამის ფარგლებში გავლილ საწარმოო პრაქტიკას ? (თუ თქვენი პროგრამა არ ითვალისწინებდა საწარმოო პრაქტიკას გადადით №14 კითხვაზე)

- ძალიანკარგი
- კარგი
- დამაკმაყოფილებელი
- ცუდი
- ძალიანცუდი
- არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

14. კოლეჯში დაცული იყო თუ რა თქვენი უფლებები და კანონიერი ინტერესები?

- დიახ
- არა

თუ თქვენ უპასუხეთ „არა“, გთხოვთ, დააკონკრეტოთ

15. ღებულობდით თუ არა კოლეჯისაგან სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად?

- დიახ
- არა
- არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

16. გიწევდათ თუ არა კოლეჯის ადმინისტრაცია გონივრულ ვადაში ადმინისტრაციულ მხარდაჭერას“ (გონივრულ ვადებში გიგვარებდნენ თუ არა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს)

- დიახ
- არა
- არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

17. უზრუნველყოფილი იყო თუ არა კოლეჯში დამატებითი/არაფორმალური აქტივობების (სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი და სხვა ტიპის ღონისძიებების) წახალისება და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა?

- დიახ
- არა
- არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

18. ღებულობდით თუ არა კოლეჯში ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)

- დიახ, ვაკანსიები ქვეყნდებოდა კოლეჯის ვებ-გვერდზე
- დიახ, ვაკანსიები ქვეყნდებოდა კოლეჯის ფეისბუქის გვერდზე
- დიახ, ვაკანსიები ქვეყნდებოდა კოლეჯ „აისის“ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ცენტრის ფეისბუქის დახურულ ჯგუფში
- დიახ, ვაკანსიები ქვეყნდებოდა საინფორმაციო დაფაზე
- კოლეჯსარაქვსმსგავსიმომსახურებისსერვისი
- სხვა (შეგიძლიათ ჩაწეროთ)

19. უწევდა თუ არა კოლეჯი ორგანიზებას/მხარდაჭერას ისეთი ტიპის ღონისძიებებს, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულების დასაქმებას?

- დიახ
- არა
- სხვა (შეგიძლიათ ჩაწეროთ)

20. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დასრულების შემდეგ დაიწყეთ თუ არა მუშაობა?

- დიახ
- არა
- სწავლის დაწყებამდე მქონდა ანაზღაურებადი სამუშაო

21. რას საქმიანობთ ამჟამად? (შესაძლებელია დააფიქსიროთ მაქსიმუმ ორი ძირითადი საქმიანობა)

- მუშაობთ (ხართ დაქირავებული)
- მუშაობთ (ხართ თვითდასაქმებული)
- მუშაობთ და სწავლობთ
- მხოლოდ სწავლობთ
- უმუშევარი ხართ ავადმყოფობის გამო
- უმუშევარი ხართ ოჯახური მდგომარეობის გამო
- უმუშევარი ხართ არასაკმარისი კვალიფიკაციის გამო

22. მუშაობთ თუ არა გამოკითხვის მომენტში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით? თუ „დიახ“ გადადით №24 კითხვაზე

- დიახ
- არა

23. გთხოვთ, დაასახელოთ მიზეზი, რატომ ვერ/არ მუშაობთ/მუშაობდით თქვენ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობით? (შესაძლებელია აირჩიოთ რამდენიმე პასუხი, თუ ისინი ლოგიკურ წინააღმდეგობაში არ მოდის ერთმანეთთან)

- არასაკმარისი კვალიფიკაციამქონდა
- ხელფასი იყო არა დამაკმაყოფილებელი
- სამუშაო გრაფიკი იყო არა დამაკმაყოფილებელი
- სამუშაოს აათები (მუშაობისთვის განკუთვნილი დრო) იყო არა დამაკმაყოფილებელი
- შრომის უსაფრთხოების პირობები არ იყო დაცული
- სამსახური შორს იყო საცხოვრებელი ადგილიდან
- სხვა (შეგიძლიათ ჩაწეროთ)

24. ქვემოთ ჩამოთვლილია სხვადასხვა ვერსიები სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებით, გთხოვთ, აირჩიოთ თქვენთვის შესაბამისი ყველა პასუხი.

- სამსახური დაიწყეთ კოლეჯის დახმარებით
- სამსახური შემოგთავაზეს იქ, სადაც სწავლის დროს გადიოდით პრაქტიკას;
- სამსახური დაიწყეთ დამოუკიდებლად (მოიძიეთ/ მიიღეთ ინფორმაცია ინტერნეტის, ტელევიზიის, გაზეთისა და რადიოს მეშვეობით);
- სამსახურის დაწყებაში დაგეხმარათ ნაცნობ-მეგობრები, ნათესავები ან ოჯახის წევრები;
- ვმუშაობ იმ კომპანიაში სადაც ვსწავლობდი დუალური პროგრამის ფარგლებში
- სამსახური დაიწყეთ დასაქმების სახელმწიფო ცენტრის მეშვეობით;
- სამსახური დაიწყეთ დასაქმების კერძო სააგენტოს მეშვეობით.
- სხვა (შეგიძლიათ ჩაწეროთ)

25. ეძებთ თუ არა ამჟამად სამუშაოს? თუ „დიახ“ გადადით №27 კითხვაზე

- დიახ
- არა

26. რატომ არ ეძებთ სამუშაოს? ახლა ჩამოგივლით სხვადასხვა მიზეზს და გთხოვთ, გვითხრათ ყველა პასუხი, რომელიც შეგესატყვისებათ. (გთხოვთ აირჩიოთ არსებული მიზეზის შესაბამისი შესატყვისი პასუხები).

- აპირებთ სწავლის გაგრძელებას
- აპირებთ ჯარში მსახურებას
- გაქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები
- არ გაქვთ შესატყვისი ოჯახური პირობები
- არ გსურთ სამსახურის მოძებნა
- ხართ დასაქმებული სხვა სფეროში
- სხვა (შეგიძლიათ ჩაწეროთ)

27. როგორ ფიქრობთ, პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ რატომ ვერ პოულობთ სამსახურს? ქვემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა მიზეზებიდან გთხოვთ, მონიშნოთ ყველა პასუხი რომელიც შეგესატყვისებათ.

- არ გაქვთ საკმარისი კვალიფიკაცია
- არ გაქვთ ძირითადი უნარები (მაგ. უცხო ენებზე საუბრის, კომპიუტერის გამოყენების, სხვებთან ურთიერთობის და ა.შ.)
- არ გაქვთ საკმარისი გამოცდილება
- თქვენს პროფესიაზე დაბალი მოთხოვნაა

- სხვა (შეგიძლიათ ჩაწეროთ)

28. კოლეჯის დასრულებიდან დღემდე გიმუშავიათ თუ არა მინიმუმ ერთი თვე პროფესიით? (უპასუხეთ კითხვას იმ შემთხვევაში თუ ამ ეტაპზე ხართ დაუსაქმებელი)

- დიახ
- არა

29. თქვენი აზრით, მთლიანობაში, პროფესიულ სასწავლებელში მიღებული განათლება ხელს უწყობს თუ არა სამუშაოს დაწყებას?

- დიახ
- არა
- ნაწილობრივ

30. გთხოვთ, ჩამოწეროთ საკითხები რომელიც არ არის მითითებული წინამდებარე კითხვარში და კოლეჯმა უნდა იზრუნოს მათ გაუმჯობესებაზე.

.....

.....

.....

დანართი №4

თანამშრომელთა სამუშაოთი კმაყოფილების კითხვარი

კითხვარის შევსებისას გთხოვთ იყოთ გულწრფელი

კვლევის დასახელება: სსიპ კოლეჯის „აისი“ (შემდგომში- კოლეჯი) თანამშრომელთა სამუშაოთი კმაყოფილებისა და ჩართულობის კვლევა.

კვლევის მიზანი: კოლეჯის თანამშრომელთა სამუშაოთი კმაყოფილების შესწავლა, კოლეჯის თანამშრომელთა სამუშაოთი კმაყოფილებისა და ჩართულობის მიზნით

A ბლოკი.ზოგადინფორმაცია

1	სქესი	ქალი კაცი
2	ასაკი	20-29 30-39 40 წელსზევით
3	პოზიცია ორგანიზაციაში	მენეჯერი მასწავლებელი ტექნიკური პერსონალი თანამშრომელი
4	რამდენი წელი მუშაობთ კოლეჯში?	2 წლამდე 2-დან 5 წლამდე 5 -დან 10 წლამდე 10 წელზემეტ

B ბლოკი.არსებული გარემოდაპირობები

		სრულიად ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
	სამუშაო გარემო და პირობები			
1	ოფისი.კოლეჯში არის კომფორტული სამუშაო გარემო, კარგად აღჭურვილი ოფისი დაყ ველა სათანადო პირობა (გათბობა, ავეჯიდაა.შ.)	1	2	3
2	საინფორმაციო ტექნოლოგიები: შიდა სისტემა არის ქსელური. ყველა თანამშრომელს აქვს ხელმისაწვდომობა ელ-მაილზე, ინტერნეტზე და კომუნიკაციის სხვა საშუალებებზე.	1	2	3
3	სამუშაო საათები. სამუშაო გრაფიკი არის სრულიად მისაღები და ადექვატური.	1	2	3
4	დამატებითი სამუშაო საათები. ხშირად გიწევთ დამატებითი საათების გატარება ოფისში.	1	2	3
	ორგანიზაციული კულტურა და კომუნიკაცია			
5	ორგანიზაციის შიდაკორპორატიულ კულტურას (ქცევის ნორმები, ტრადიციები და სხვა) ძირითადად იზიარებენ თანამშრომლები.	1	2	3
6	შიდაკომუნიკაცია: კომუნიკაცია არის გამართული და ინფორმაციის ნაკადი ორგანიზაციაში არის ადექვატური და ეფექტიანი.	1	2	3
7	თანამშრომლებს შორის ურთიერთობა არის პროფესიონალური, გამართული კომუნიკაციით და თანამშრომლობის მაღალიხარისხით	1	2	3
8	კონფლიქტები: კონფლიქტების მოგვარება ხდება კონსტრუქციული გზით	1	2	3
9	ჯგუფური მუშაობა: თანამშრომლებს შორის არსებობს მძალური სურვილი რათა იმუშაონ გუნდურად.	1	2	3
10	ჯგუფური უშაობა: ჯგუფური მუშაობის სულისკვეთება არის მხარდაჭერილი და ხორციელდება ერთობლივი მუშაობის ეფექტიანი კოორდინაცია.	1	2	3
11	შეხვედრები/თათბირები: ორგანიზაციის შიდა შეხვედრები არის კარგად და ეფექტიანად ორგანიზებული.	1	2	3
12	შეხვედრები/თათბირები: შეხვედრების სიხშირე ზუსტად შეესაბამებასაჭიროებებს	1	2	3
13	სტაბილურობა: კოლეჯში თანამშრომლებს აქვთ სტაბილურობის განცდა.	1	2	3
	ადმინისტრირება			
14	სტრუქტურა:	1	2	3

C ბლოკი. გაუმჯობესების შესაძლებლობები

1. როგორ მიიჩნევთ თქვენი პოზიციისა და ფუნქციების შესაბამისად, რამდენად ჩართული ხართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში?

1. სრულიად ჩართული ვარ;
 2. ნაწილობრივ ჩართული ვარ;
 3. ფორმალურად ვარ ჩართული;
 4. არ ვარ ჩართული
- 2. სამუშაო პროცესში რა დოზით იღებთ დახმარებას ხელმძღვანელების მხრიდან?**
1. თითქმის ყოველთვის ვიღებ შესაბამის დახმარებას;
 2. პერიოდულად ვიღებ შესაბამის დახმარებას;
 3. იშვიათად ვახერხებ ხელმძღვანელობის ყურადღების მიქცევას;
 4. არასდროს

3. ზოგადად, როგორ შეაფასებდით კომუნიკაციას ხელმძღვანელობასთან?

1. ძალიან ეფექტიანია. შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველთვის დიაინიცია ტიპების გასაზიარებლად; დასმულ კითხვებზე არის დროული პასუხი და ინსტრუქტაჟი.
2. მეტ-ნაკლებად ეფექტიანი. გამოხმაურება ხდება მხოლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე.
3. საკმაოდ ცუდია. როგორც წესი, პასუხს ვერ ვიღებ. ხშირად ხდება დასმულის საკითხის იგნორირება.

4. ბოლო ორი თვის განმავლობაში კოლეჯის შესაბამისი სამსახურიდან რამდენჯერ მოისმინეს თქვენის საგაკვეთილო პროცესი. თუ კი - ვინ მოისმინა და რა რეკომენდაციები მოგცათ

5. თქვენ აზრით, დაკისრებული ფუნქციების შესრულების ეფექტიანობის გაზრდისათვის, რა ფაქტორების გათვალისწინება არის საჭირო. (მოხაზეთ ყველა შესაბამისი პასუხი)

1. ანაზღაურების გაზრდა;
2. კვალიფიკაციის ამაღლების კურსები;
3. შესაძლო დაწინაურების თვალსაჩინოსის ტემა;
4. მადლობის გამოცხადება
5. სხვა, მიუთითეთ _____
6. სხვა, მიუთითეთ _____

6. როგორ შეაფასებდით კარიერული ზრდის შესაძლებლობებს?

1. კოლეჯში არსებობს ყველაზე ახალი შესაძლებლობა კარიერული ზრდისათვის;
2. კოლეჯში არის მეტ-ნაკლებად ნორმალური გარემო კარიერული ზრდისათვის;
3. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში არის კარიერული ზრდის შესაძლებლობა;
4. კოლეჯში არ არის კარიერული ზრდის შესაძლებლობა;

7. ზოგადად, მე ვთვლი, რომ კოლეჯის საქმიანობა არის:

1. ძალიან გამართული და ეფექტიანი
2. მეტ-ნაკლებად გამართული და ეფექტიანი
3. საშუალო
4. ცუდი
5. არვიცი

8. ზოგადად, მევეთელირომჩემისაქმიანობადაროლიორგანიზაციაშიარის:

1. ძალიან მნიშვნელოვანი
2. მნიშვნელოვანი
3. ნაკლებადმნიშვნელოვანი
4. უმნიშვნელო
5. არვიცი

9. ზოგადად, მე ვაფასებ ორგანიზაციის ადმინისტრაციულ მართვას როგორც:

1. ძალიან ეფექტიანს
2. საშუალოდ ეფექტიანს
3. მეტ-ნაკლებადეფექტიანს
4. არაეფექტიანს
5. არვიცი

10. გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრება თათბირების შესახებ. როგორ ფიქრობთ რა სიხშირით უნდა ჩატარდეს, როგორი ფორმით.

11. როგორ ფიქრობთ კოლეჯში ხელმძღვანელობა ხედავს და სათანადოდ აფასებს აქტიურად მოტივირებულ თანამშრომლებს? თუ კი, გთხოვთ მითხროთ მაგალითი.

12. გთხოვთ დაასახელოთ 3 ძირითადი ფაქტორი, რაც გაზრდიდა შესასრულებელი სამუშაოს ეფექტიანობას და აამლავებდა თქვენ სმოტივაციას.

1	
2	
3	

13. გთხოვთ , გაგვიზიაროთ თქვენი რჩევა ან რეკომენდაცია კოლეჯში სამუშაო გარემოსა და პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

14. ხომ არ არის რაიმე ისეთი საკითხი, რომელიც მიგანჩიათ რომ აქტიუალური და მნიშვნელოვანია და ჩვენ არ შევცხეთ?

წარმატებებს გისურვებთ! მაღლობას გიხდით კვლევაში მონაწილეობისათვის და დათმობილი დროისათვის!..

----- წელი

პროფესიული მასწავლებლის კითხვარი

საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება -----

მოდულის დასახელება ----- კრედიტების რაოდენობა -----

მასწავლებლის სახელი და გვარი -----

გმადლობთ, რომ მონაწილეობთ გამოკითხვაში. გამოკითხვა მიზნად ისახავს მოდულური სწავლების დანერგვის პროცესის მონიტორინგის და მხარდაჭერის ფარგლებში პრობლემების იდენტიფიცირებას სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. თქვენი პასუხები, შენიშვნები და კომენტარები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

1	პირადად მონაწილეობდით თუ არა კალენდარული გეგმის შემუშავების პროცესში?	დიახ	არა
2	მისაღებია თუ არა მოდულის სტრუქტურა?	დიახ	არა
	თქვენი რეკომენდაციები მოდულის სტრუქტურასთან დაკავშირებით		
3	გასაგებია თუ არა მოდულის შინაარსი?	დიახ	არა
	მოდულის რომელი ნაწილი საჭიროებს დამატებით დაკონკრეტებას/განმარტებას?		
4	თქვენის აზრით, სწორადაა განსაზღვრული მოდულის გავლის წინაპირობები?	დიახ	არა
	თქვენი რეკომენდაციები მოდულის გავლის წინაპირობებთან დაკავშირებით		
5	სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის დამხმარე ჩანაწერები კალენდარული გეგმის შემუშავებისას?	დიახ	არა
	თქვენი რეკომენდაციები მოდულის დამხმარე ჩანაწერებთან დაკავშირებით		
6	სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის დამხმარე ჩანაწერები შეფასების დაგეგმვისას?	დიახ	არა
	თქვენი რეკომენდაციები შეფასების დაგეგმვასთან დაკავშირებით		
7	რამდენად შეესაბამება რეკომენდებული თემატიკა მისაღვევ სწავლის შედეგებს?	დიახ	არა
	თქვენი რეკომენდაციები თემატიკასთან დაკავშირებით		

8	რამდენად შეესაბამება რეკომენდირებული სწავლების მეთოდები მისაღწევ სწავლის შედეგებს?	დიახ	არა
თქვენი რეკომენდაციები სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით			
9	რამდენად შეესაბამება მტკიცებულებები დასადასტურებელ სწავლის შედეგებს?	დიახ	არა
10	რამდენად შეესაბამება რეკომენდებული შეფასების ინსტრუმენტები დასადასტურებელ შესრულების კრიტერიუმებს?	დიახ	არა
თქვენი რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით			
11	თქვენი აზრით, საკმარისია თუ არა მოდულის საათების რაოდენობა დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად?	დიახ	არა
თქვენი რეკომენდაციები საათების რაოდენობასთან დაკავშირებით			
12	ადეკვატურია თუ არა საათების გადანაწილება სწავლის შედეგებისა და დატვირთვის ფორმების (ლექცია, პრაქტიკული, დამოუკიდებელი, შეფასება) მიმართ	დიახ	არა
თქვენი რეკომენდაციები საათების გადანაწილებასთან დაკავშირებით			
13	რეკომენდირებული სასწავლო მასალები/ინვენტარი შეესაბამება მისაღწევ სწავლის შედეგებს?	დიახ	არა
თქვენი რეკომენდაციები მასალებისა და ინვენტარის შესახებ			
14	არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის დანერგვის პროცესი საჭირო მასალებითა და ინვენტარით?	დიახ	არა
თქვენი რეკომენდაციები საჭიროებებთან დაკავშირებით			
15	თქვენი რეკომენდაციები საგანმანათლებლო რესურსებთან (სახელმძღვანელოები, ინტერნეტრესურსები) დაკავშირებით.		
გთხოვთ, დააკონკრეტეთ, რა სახის სახელმძღვანელოებს საჭიროებთ?			
16	შეცვლიდით რამეს მოდულის შინაარსში?	დიახ	არა
დააკონკრეტეთ, რას შეცვლიდით და რატომ?			
17	მოდულური სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ხომ არ საჭიროებთ რაიმე საკითხებზე დამატებით ტრენინგს/კონსულტირებას?	დიახ	არა
დააკონკრეტეთ, რომელ საკითხებთან დაკავშირებით საჭიროებთ დამატებით ტრენინგსა და კონსულტირებას?			

18	გაქვთ თუ არა თქვენი მოდულის ანალოგიური სწავლის შედეგების მქონე კურსის სწავლების გამოცდილება?	დიახ	არა
19	შემოგვთავაზეთ სარეკომენდაციო წინადადებები პროგრამის დანერგვის პირველ ეტაპზე დამატებით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე.		
	კომენტარი, წინადადებები:		

სსიპ კოლეჯი „აისი“

დამსაქმებლის კითხვარი

კითხვარის შევსებისთვის დაახლოებით 20-25 წუთი დაგჭირდებათ. გამოკითხვა კონფიდენციალურია და შედეგების განხილვისას ორგანიზაცია მითითებული არ იქნება.

კომპანიის დასახელება: -----

კომპანიის პროფილი: -----

დასაქმებულთა რაოდენობა: -----

ფაქტიური მისამართი: -----
-

იურიდიული სტატუსი/სახე: -----

ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია(სახელი, გვარი, მობ. ნომერი, ელ. ფოსტა)

1. როგორ უზრუნველყოფთ კადრების მომზადებას სამუშაო მოთხოვნებიდან გამომდინარე?

ა) როგორ ხდება შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე კადრების შერჩევა (მაგ. კონკურსი, პირადი რეკომენდაციები, პროფესიული სასწავლებლები, დასაქმების სამსახურის დახმარებით) -----

ბ) ახალი თანამშრომლის აყვანისას შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე ადამიანებს ანიჭებთ უპირატესობას, თუ ცდილობთ ადგილზე გადაამზადოთ? -----

გ) ატარებთ შესაბამის ტრენინგებს თქვენს ორგანიზაციაში? რა პერიოდულობით (წელიწადში ერთხელ, ორჯერ და ა.შ.) -----

დ) ახდენთ არსებული კადრების გადამზადებას პერიოდულად, რა პერიოდულობით (წელიწადში ერთხელ, ორჯერ და ა.შ.) -----

2. რამდენად კარგად იცნობთ საქართველოს პროფესიული განათლების სექტორს?

ა) როგორ ფიქრობთ, თქვენი ორგანიზაციისთვის შესაბამისი კადრების მიმზადება სახელმწიფოს პრეროგატივაა, თუ თქვენი, როგორც დამსაქმებლის? -----

ბ) თქვენს დარგში ხედავთ პროფესიული განათლების სექტორის როლს ? -----

გ) ფიქრობთ, რომ დამსაქმებელს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს პროფესიული განათლების სექტორის განვითარებაში? როგორ? -----

დ) იცნობთ თუ არა პროფესიულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს(სადაც თავმოყრილია საქართველოში არსებული ყველა კვალიფიკაცია/პროფესია/სპეციალობა)? -----

ე) არსებული კვალიფიკაციები/სპეციალობები რამდენად შესაბამისობაშია თქვენს საწარმოში არსებულ /საჭირო სპეციალობებთან -----

ვ) თქვენს ორგანიზაციაში დასაქმებულთა რამდენ პროცენტს გააჩნია პროფესიული განათლება ----

3 . თანამშრომლობთ თუ არა პროფესიულ საგანმათლებლო დაწესებულებებთან (ან ნებისმიერი სხვა ტიპის ანალოგიურ დაწესებულებასთან) -----

4. რატიპისთანამშრომლობაგაკავშირებთ? ხართთუარაჩართული:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში ? -----

ბ) საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პროცესში? -----

გ) სტუდენტების შერჩევის პროცესში? -----

დ) სტუდენტების საწარმოში პრაქტიკის უზრუნველყოფის პროცესში, მათ შორის სამუშაოზე შეფასების პროცესში? -----

ე) სტუდენტების პრაქტიკის სწავლების პროცესში? -----

5. იცნობთ თუ არა სსიპკოლეჯ „აისს“? -----

ა)ფიქრობთთუარა, რომსსიპ კოლეჯის „აისი“ კურსდამთავრებულებიკარგადარიანმომზადებულებისამუშაოსგანსახორციელებლად? -----

ბ) რა ცოდნა არ მიგაჩნიათ საკმარისად პროფესიული კურსდამთავრებულების განათლებაში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას? -----

6. გვითხარით თუ შეიძლება, პროფესიული სასწავლებლის რამდენი კურსდამთავრებული მიიღეთ ბოლო ერთი წლის განმავლობაში? ----- ადამიანი

7. გვითხარით თუ შეიძლება, პროფესიული სასწავლებლის რამდენი კურსდამთავრებული გაათავისუფლეთ ბოლო ერთი წლის განმავლობაში? ----- ადამიანი

8. გთხოვთ, მიგვითითოთ ბოლო 3-5 წლის განმავლობაში თქვენს სფეროში მიმდინარე იმ ცვლილებებზე, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ სასწავლო პროგრამის შესაბამისობის გასაზრდელად. -----

9. თქვენიაზრით , უახლოეს 3 – 5 წელში, რომელი მნიშვნელოვანი უნარები, ცოდნა, თვისება დასჭირდებათ ჩვენს კურსდამთავრებულებს თქვენს სფეროში პროფესიული საქმიანობისთვის? -----

10. გვითხარით თუ შეიძლება, რომელი პროფესიის სპეციალისტები შეიძლება მიიღოთ ამ ეტაპზე თქვენს ორგანიზაციაში? -----

11. გვითხარით თუ შეიძლება, რომელი პროფესიის სპეციალისტებზე შეიძლება გაჩნდეს მოთხოვნა თქვენს დარგში მომდევნო 1-5 წლის განმავლობაში? -----

12. როგორ იქნება თქვენი ორგანიზაციის სურვილები პროფესიული სასწავლებლის მიმართ, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს თქვენი ორგანიზაციის საქმიანობისთვის საჭირო პროფესიებში? -----

მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისათვის.